სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/24

ქ. თბილისი

26 თებერვალი 2021 წ.

უნივერსიტეტის შინაგანაწესში

ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბექა მაისურაძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს „უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი პროექტი (დანართი) და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
2. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) წარადგენს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ბექა მაისურაძე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**